

ხელშეკრულება № 09/01

დას. ფოცხო ეწერი

„27“ „სექტემბერ“, 2011 წ.

შპს „ენგურჰესი“, შემდგომში „შემსყიდველად“ წოდებული, მისი ფინანსური დირექტორის ვალერი კანკიას სახით, რომელიც მოქმედებს საწარმოს წესდების საფუძველზე ერთის მხრივ და

შპს „სპეცენერგორემონტი“ შემდგომში „მიმწოდებლად“ წოდებული, მისი დირექტორის შოთა ლეჟავას სახით, რომელიც მოქმედებს ასევე საწარმოს წესდების საფუძველზე წინამდებარე ხელშეკრულებით თანხმდებიან შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ”შემსყიდველი“ ავალებს, ხოლო ”მიმწოდებელი“ თანახმაა ურთიერთშეთანხმებულ ვადაში შეასრულოს: ენგურჰესის თაღოვანი კაშხლის №18 სექციაში მუშა ფარის, სარემონტო ფარისა და მათი კორპუსების სარემონტო სამუშაოები.

შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. გარანტიები

2.1. ”მიმწოდებელი“ იძლევა საგარანტიო ვადას შესრულებულ სამუშაოზე, რომელიც განისაზღვრება 1 (ერთი) წლით. ის ვალდებულია შეასრულოს სამუშაოები ტექნიკური მოთხოვნების სრული დაცვით. სამუშაოების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში ვალდებულია საკუთარი ხარჯებით დაუყოვნებლივ გაასწოროს მისი მიზეზით გამოწვეული ყველა დეფექტი და უწესიერობა საგარანტიო ვადის განმავლობაში.

3. ცვლილებები ხელშეკრულებაში

- 3.1. ხელშეკრულების ორივე მხარეს სამუშაოს მსვლელობის დროს უფლება აქვთ შეიტანონ ტექნიკური ცვლილებები სამუშაოთა მოცულებაში, თუ მათი აზრით ეს ცვლილებები აუმჯობესებს შედეგებს და არის შესრულებადი, ამასთან ”შემსყიდველს“ აქვს უფლება მიიღოს ან არ მიიღოს ”მიმწოდებლის“ წინადადება ცვლილებებზე.
- 3.2. ნებისმიერ შემთხვევაში ცვლილებები და მასთან დაკავშირებული პროცედურები ფორმდება როგორც დამატება ხელშეკრულებაზე და მხარეების ხელმოწერის შემდეგ წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. ამავე წესით ფორმდება მუშაობის პროცესში გამოვლენილი დამატებითი სამუშაოს მოცულობები.
- 3.3. არავითარი ცვლილება არ მიიღება ცალმხრივად მხარეების წერილობითი შეთანხმების გარეშე.

4. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

4.1. ”მიმწოდებელი“ კისრულობს ვალდებულებას:

- მკაცრად დაიცვას სამუშაოს დამთავრების სახელშეკრულებო ვადები და უზრუნველყოს სამუშაოს შესრულება სათანადო ხარისხით;
- 4.2 **“მიმწოდებელი”** ვალდებულია ნებისმიერ დროს მოახსენოს “შემსყიდველის” წარმომადგენელს სამუშაოთა მიმდინარეობისას წამოჭრილი პრობლემების და წინააღმდეგობების შესახებ;
- 4.3 **“მიმწოდებელი”** უზრუნველყოფს მომსახურების გაწევას „შემსყიდველის“ მიერ მიწოდებული მასალის, მოწყობილობის, სამუშაო იარაღების და ტექნიკის საშუალებით;
- 4.4 **“მიმწოდებელი”** ატარებს ყველა აუცილებელ გამოცდას გაწეული მომსახურების ხარისხის დასადასტურებლად;
- 4.5 **“მიმწოდებელი”** ვალდებულია მკაცრად დაიცვას უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნები (მუშაობა სიმაღლეზე, სამუშაო ადგილის განათება 12 ან 36 ვოლტი ძაბვით და სხვა);
- 4.6 **“მიმწოდებელს”** უფლება ეძლევა სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად უსასყიდლოდ გამოიყენოს საკეტების მართვის შენობაში არსებული ხიდურა ამწე, როდესაც ამწე არ იქნება დაკავებული საექსპლოატაციო სამუშაოების შესრულებით. ამწის მემანქანის დამატებითი შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“.
- 4.7 **“შემსყიდველი”** ვალდებულია მოახდინოს „მიმწოდებლის“ საკუთარ ტერიტორიაზე დაშვება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად და იტოვებს უფლებას გაუწიოს კონტროლი არსებული წესების დაცვაზე (ტექნიკური უსაფრთხოება და ექსპლუატაცია);
- 4.8 **“შემსყიდველი”** აბარებს „მიმწოდებელს“ შეკვეთის ობიექტს უსაფრთხოდ მუშაობის ყველა საჭირო ღონისძიებების შესრულების შემდეგ;
- 4.9 **“შემსყიდველი”** ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების განმავლობაში უსასყიდლოდ უზრუნველყოს სამონტაჟო მოედანი ელ. ენერგიით.
- 4.10 **“შემსყიდველი”** ვალდებულია გადასცეს „მიმწოდებელს“ მომსახურების გაწევისათვის საჭირო მასალები, მოწყობილობები, სამუშაო იარაღები და ტექნიკა.
- 4.11 სახელშეკრულებო სამუშაოების დაწყებამდე მხარეები იძლევიან ინფორმაციას მათი მხრიდან სამუშაოს წარმოებასა და ზედამხედველობაზე (“შემსყიდველი”) პასუხისმგებელი პირების დანიშვნის შესახებ;

6. მხარეთა პასუხისმგებლობები

- 6.1 ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ კანონით გათვალისწინებული წესით.
- 6.2 მხარეები ვალდებულებას კისრულობენ აუნაზღაურონ ერთმანეთს წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობით ერთმანეთისათვის მიყენებული ზარალი.
- 6.3 იმ შემთხვევაში, თუ “მიმწოდებელი” 15 დღეზე მეტად გადააცილებს სამუშაოს შესრულების ვადას, მას სავალდებულო წესით ეკისრება ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე ჯარიმა “შემსყიდველის” წინაშე შესასრულებელი სამუშაოს ღირებულების 0,05%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს სახელშეკრულებო თანხის 5%-ისა.
- 6.4 გადახდის 15 დღეზე უფრო მეტად დაგვიანების შემთხვევაში “შემსყიდველი” გადაიხდის “მიმწოდებლის” სასარგებლოდ შესრულებული სამუშაოს ღირებულების 0,05%-ს ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არა უმეტეს სახელშეკრულებო თანხის 5 %-ისა

7. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების პირობები

- 7.1. სახელშეკრულებო ფასი შეადგენს: 59 989.32 (ორმოცდაცხრამეტი ათას ცხრასსოთმოდცხრა ლარი და ოცდათორმეტი თეთრი) საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით;
- 7.2. ხელშეკრულების ფასი მყარია და შეიცვლება მხოლოდ მაშინ, თუ ორმხრივი შეთანხმებით შეიცვლება სამუშაოს მოცულობა. ამ შემთხვევაში ცვლილებები აისახება ხელშეკრულებაზე დამატებითი დანართის სახით.
- 7.3. ანგარიშსწორება მხარეებს შორის განხორციელდება გადარიცხვის წესით.
- 7.4. სამუშაოების დაწყების წინ „შემსყიდველი“ „მიმწოდებელს“ გადაუხდის ავანსს წარმოდგენილი საბანკო გარანტიის მიხედვით, სახელშეკრულებო თანხის 30%-მდე.
- 7.5. საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება სამუშაოს დამთავრების შემდეგ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

8. ვალდებულებების შესრულების ვადები

- 8.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებისათვის საჭირო ქმედებას „მიმწოდებელი“ იწყებს ხელშეკრულების ხელმოწერიდან 3 დღეში.
- 8.2. სამუშაოს შესრულების ხანგრძლივობა განისაზღვრება სამუშაოების დაწყებიდან 60 სამუშაო დღით.
- 8.3. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს თავისი ვალდებულებები შეასრულოს ვადადღე.
- 8.4. „მიმწოდებლის“ მიერ სამუშაოების დასრულების შემდეგ, მხარეები აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს, რომელიც ჩაითვლება „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დამადასტურებლად.

9. ფორს - მაჟორი

- 9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჭირო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი;
- 9.2. ფორს-მაჟორული გარემოება ნიშნავს ნებისმიერ მოვლენას, გარემოებას და ან მათ კომბინაციას, რომელიც არ არის კონტროლირებადი არც ერთი მხარის მიერ და რომელმაც (ან რომლის შედეგმაც) შეიძლება მნიშვნელოვნად და უარყოფითად იმოქმედოს მოცემული მხარის უნარზე შეასრულოს თავისი ვალდებულებები, რომელიც წარმოიშება ამ ხელშეკრულების მიხედვით, თუმცა იმ პირობით, რომ ასეთი მოვლენა, გარემოება და ან მათი კომბინაცია არ ჩაითვლება ფორს-მაჟორულ გარემოებად, თუ იგი არ შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ თავიდან აცილებულ ან გამოსწორებული ყოფილიყო დამკვეთი მხარის მიერ.
- 9.3. ფორს-მაჟორული გარემოებები შეიძლება მოიცავდეს შემდეგ გარემოებებს, რომლებიც ვერ იქნება კონტროლირებადი მხარეთა მიერ: საომარი მოქმედება (გამოცხადებული ან გამოუცხადებელი), ბლოკადა, რევოლუცია, რადიოაქტიური დაბინძურება ან იონიზირებული რადიაცია, ხანძარი, მიწისძვრა, შტორმი, ციკლონი, ეპიდემია, საქართველოს აღმასრულებელი ან საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზე შეუძლებელი ხდება წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

10. სხვა პირობები

- 10.1. ყველა დამატება ან შესწორება ამ ხელშეკრულების ირგვლივ ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ხელმოწერილი და დადასტურებულია ორივე მხარის მიერ.
- 10.2. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს თანაბარი ძალა გააჩნია.
- 10.3. მხარეებს შეუძლიათ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება თუ მეორე მხარე ან არ ან ვერ ასრულებს სახელშეკრულებო პირობებს. შეწყვეტის შესახებ მხარეები აცობინებენ ერთმანეთს დაუყოვნებლივ მიზეზების ჩვენებით. ხელშეკრულების შეწყვეტამ არ უნდა გამოიწვიოს რომელიმე მხარის უფლებების შელახვა.
- 10.4. სადაო საკითხები რეგულირდება ორმხრივი მოლაპარაკებით. თუ ეს მოლაპარაკება აღმოჩნდება უშედეგო, დავა გადაწყდება სასამართლო წესით საქართველოს კანონების მიხედვით.
- 10.5. ხელშეკრულება ძალაშია მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

11. მხარეთა იურიდიული მისამართები

“შემსყიდველი”

შპს „ენგურჰესი“

სს „პროკრედიტ ბანკის“ ქუთაისის
განყოფილების ზუგდიდის ფილიალი
ბანკის კოდი 220101929
ა/ა 301467126
საიდ. კოდი 251716371
გალის რაიონი, დ. საბერიო

“მიმწოდებელი”

შპს „სპეცენერგორემონტი“

სს „ბანკი რესპუბლიკას“
ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი REPLGE22
ა/ა GE38 BR00 0000 3603103632
საინ. კოდი 202198317
ქ. თბილისი, აგლაძის ქ. 34, კ. 4.

საფოსტო მისამართი: ი. ჭავჭავაძის პრ. №39

ფინანსური დირექტორი


გ. კანია


ვიზა: ტექ. დირექტორი _____

იურ. სამსახური _____

შესყ. სამსახური _____

ფინ. სამსახური _____

ტექ. განყოფილება _____

ბუღალტერია _____

შიდა აუდიტი _____

აღმასრულებელი დირექტორი


შ. ლეუვა




"ვამტკიცებ"

შპს "სპეცენერგორომონტი"
ადმსრულებელი დირექტორი

შ. ლეჟავა

„15“ „07“ 2011

წელი

ენგურჰესის თაღოვანი კაშხლის №18 სექციაში სარემონტო და მუშა
ფარების და მათი კორპუსების სარემონტო სამუშაოების
კრებსითი ხარჯთაღრიცხვა


№	ხარჯების დასახელება	ღირებულება (ლარი)
1	სამუშაოების ღირებულება	30 611,48
2	მასალები	3 423,00
3	სატრანსპორტო ხარჯები მასალების ობიექტზე გადასაზიდად და მუშა პერსონალის ობიექტზე სატარებლად	1 830,00
4	სულ პირდაპირი ხარჯები	35 864,48
5	ზედნადები ხარჯები 12%	4 303,74
	ჯამი:	40 168,22
6	გეგმიური დაგროვება 12%	4 820,19
	ჯამი:	44 988,40
7	სამიველინებო ხარჯები	5 850,00
	ჯამი:	50 838,40
8	დღგ 18%	9 150,91
	სულ:	59 989,32

შეადგინა:

შპს "სპეცენერგორომონტი"
პროექტების მენეჯერი




რ. ჯუჯიშვილი

"ვამტკიცებ"
 შპს "სპეცენერგორემონტის"
 აღმასრულებელი დირექტორი

 შ. ლეჟავა
 "27" 17 2011 წელი

ენგურძესის თაღოვანი კაშხლის №18 სექციაში
მუშა ფარის, სარემონტო ფარისა და მათი
კორპუსების სარემონტო სამუშაოების
სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშება

№	სამუშაოების დასახელება	განზ-ბა	რაო-ბა	სამუშაოების ღირებულება დღგ-ს გარეშე (ლარი)
1	2	3	4	5
I	მუშა ფარის დემონტაჟი			
1.1	ფარის ჩამოკიდება სამონტაჟო კოჭებზე	ცალი	1	198
1.2	პიდროამწის ჭოკის ჩახსნა ფარიდან	კომპლ.	2	26
1.3	პიდროამწის მოხსნა კორპუსის სახურავიდან	ცალი	1	317
1.4	კორპუსის სახურავის მოხსნა კორპუსიდან	ცალი	1	635
1.5	ფარის ამოღება კორპუსიდან და მისი დაწვენა ამყირავებელზე	ცალი	1	476
II	მუშა ფარისა და კორპუსის რემონტი			
2.1	კორპუსში რგოლიანი ხარაჩოს ჩაყენება	ცალი	1	317
2.2	შემამჭიდროებლების მისამარებელი თამასების მოხსნა და პოლიეთილენის დეტალების დემონტაჟი	კომპლ.	1	1997
2.3	ფარისა და კორპუსის საკონტროლო აზომვების შესრულება	კომპლ.	2	423
2.4	ფარისა და კორპუსის ნაკერების შემოწმება ულტრაბგერითი დანადგარით	კომპლ.	2	2380
2.5	პლასტმასის შემამჭიდროებლის დეტალებიდან (ზედა და ქვედა) წრიული და ვერტიკალური ელემენტების დამზადება	კომპლ.	1	1420
2.6	წრიული და ვერტიკალური შემამჭიდროებლების მონტაჟი კორპუსში, მისი გადაჭერა და გამოცდა	კომპლ.	1	2211
2.7	ფარის ზედა ბიეფის მხრიდან მოსახვაზე ეპოქსიდური საფარის აღდგენა	გ	36	476
III	მუშა ფარის მონტაჟი			
3.1	კორპუსიდან რგოლიანი ხარაჩოს ამოღება	ცალი	1	528
3.2	ფარის კორპუსში ჩაყენება სამონტაჟო კოჭებზე	ცალი	1	198
3.3	კორპუსის სახურავის მონტაჟი და მისი გადაჭერა	კომპლ.	1	423
3.4	პიდროამწის დაყენება კორპუსის სახურავზე და მისი გადაჭერა	ცალი	1	1269
3.5	პიდროამწის ჩაბმა ფარზე და კორპუსიდან სამონტაჟო კოჭების მოცილება	ცალი	1	582




3.6.	ფარის კორპუსში აზომეების ჩატარება ფარსა და შემჭიდროებას შორის ღრეჩოების სიდიდის შესამოწმებლად	კომპლ.	1	423
IV	სარემონტო ფარის დემონტაჟი			
4.1.	ფარის ჩამოკიდება სამონტაჟო კოჭებზე	ცალი	1	198
4.2.	პიდროამწის ტოკის ჩახსნა ფარიდან	ცალი	1	26
4.3.	პიდროამწის მოხსნა კორპუსის სახურავიდან	ცალი	1	317
4.4.	კორპუსის სახურავის მოხსნა კორპუსიდან	ცალი	1	635
4.5.	ფარის ამოღება კორპუსიდან და მისი დაყენება საამქროში ამყირავებლის განთავისუფლებამდე	კომპლ.	1	423
V	სარემონტო ფარისა და კორპუსის რემონტი			
5.1.	ფარისა და კორპუსის საკონტროლო აზომეების შესრულება	კომპლ.	2	330
5.3.	ფარის ზედა ბიევის მხრიდან მოსახვაზე ეპოქსიდური საფენის აღდგენა	ფ	18	238
5.3.	კორპუსში რგოლიანი ხარაჩოს ჩაყენება	კომპლ.	1	1983
5.4.	კორპუსზე ძველი შემჭიდროვების პოლიეთილენის დეტალების დემონტაჟი	კომპლ.	1	2352
5.4.	პლასტმასის შემამჭიდროებლის დეტალების შედუღება საპროექტო ზომებით	კომპლ.	1	1665
5.6.	ფარისა და კორპუსის ნაკერების შემოწმება ულტრაბერითი დანადგარით	კომპლ.	2	635
5.7.	წრიული და ვერტიკალური შემჭიდროების და მიმჭერი დეტალების მონტაჟი კორპუსზე	კომპლ.	3	2618
5.8.	დაყენებული შემჭიდროვების ტესტირება ფარის გარეშე	კომპლ.	3	238
VI	სარემონტო ფარის მონტაჟი			
6.1	კორპუსიდან რგოლიანი ხარაჩოს ამოღება	ცალი	1	528
6.2	ფარის კორპუსში ჩაყენება სამონტაჟო კოჭებზე	ცალი	1	687
6.3.	კორპუსში ახალი რეზინული შუასადები ზონარის დაყენება	კომპლ.	1	66
6.4.	კორპუსის სახურავის მონტაჟი და მისი გადაჭერა	ცალი	1	1269
6.5.	პიდროამწის დაყენება კორპუსის სახურავზე და მისი გადაჭერა	ცალი	1	582
6.6.	პიდროამწის ჩაბმა ფარზე და კორპუსიდან სამონტაჟო კოჭების მოცილება	ცალი	1	185
6.7.	ფარის კორპუსში აზომეების ჩატარება ფარსა და შემჭიდროებას შორის ღრეჩოების სიდიდის შესამოწმებლად	კომპლ.	1	423
VII	სამუშაოების შესრულების დროს დაზიანებული ანტიკოროზიული საფარის აღდგენა			
7.1	მუშა ფარის გარე ზედაპირზე ანტიკოროზიული საფარის აღდგენა	ფ	11	246
7.2.	ავარიული ფარის გარე ზედაპირზე ანტიკოროზიული საფარის აღდგენა	ფ	30	670

7.3.	თამასების გაწმენდა	მ²	17,7	105
7.4.	თამასების გაუცხიმოვნება	მ²	17,7	434
7.5.	თამასების დაგრუნტვა	მ²	17,7	152
7.6.	თამასების შეღებვა	მ²	17,7	284
	ჯამი			30611

შეადგინა:

შპს "სპეცენერგორემონტის"
პროექტების მენეჯერი



რ. ჯუჯიშვილი